უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 18

2015 წ. "21" 08

ქ.თბილისი

შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204379083) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	ფარმაცია (ინგლისურენოვანი)	ფარმაციის ბაკალავრი
ბაკალავრიატი	ჯანდაცვის მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ჯანდაცვის მენეჯმენტში

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 21 აგვისტოს №8 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე